



ATIPfund
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030885554126618

№ 07-183/თ

30 / ოქტომბერი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მისაღებად კანდიდატის შერჩევის მიზნით გამარტივებული საჯარო კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის № 146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. არაუგვიანეს 2018 წლის 5 ნოემბრისა, გამოცხადდეს გამარტივებული საჯარო კონკურსი (შემდგომში – კონკურსი) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – ფონდი) სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებში ამ ბრძანების დანართი 1–ით გათვალისწინებულ ვაკანტურ პოზიციებზე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მისაღებად კანდიდატების შერჩევის მიზნით.
2. დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართი 1–ით გათვალისწინებული ვაკანტური პოზიციებისთვის კანდიდატების მიმართ წაყენებული საკონკურსო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და სამუშაო აღწერილობები დანართი 2–ის შესაბამისად.
3. კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარმოსადგენად ეძლევა 10 კალენდარული დღის ვადა, კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.
4. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:
 - ა) კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განაცხადების გადარჩევა (პირველი ეტაპი);
 - ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება (მეორე ეტაპი).
5. დაევალოს ფონდის აპარატს, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველყოფა, ასევე, კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განაცხადების გადარჩევის ეტაპის ჩატარება (რაც გულისხმობს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას).
6. ამ ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში, ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) "ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატის" ექთანის ვაკანტურ პოზიციაზე შემოსული განაცხადების გადარჩევის

შედეგების შესაბამისად, შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭოს ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) "ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატის" უფროსს - **მალხაზ ბადირეიშვილს**.

7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

მერი მალაფერიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების ვაკანტური პოზიციები (შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მისაღებ პირთათვის)

№	პოზიცია	ერთეული (10)	შრომის ანაზღაურება
1	ფონდის სტრუქტურული ერთეულის "სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი)" იურისტი	1	800
2	ფონდის სტრუქტურული ერთეულის "მარნეულის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის" უფროსი/იურისტი	1	1100
3	ფონდის სტრუქტურული ერთეულის "მარნეულის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის" ფსიქოლოგი	1	800
4	ფონდის სტრუქტურული ერთეულის "მარნეულის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის" სოციალური მუშაკი	1	800
5	ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) "მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის" ექიმი-ფსიქიატრი	1	650
6	ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) "დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის" ექიმი თერაპევტი	1	650
7	ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) "დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის" მომვლელი	1	450
8	ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) "თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის" ექიმ-პედიატრი	1	650
9	ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) "თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის" უფროსი ექთანი	1	550
10	ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) "ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატის" ექთანი	1	450

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების ვაკანტურ პოზიციებზე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მისაღებად კანდიდატების მიმართ წაყენებული საკონკურსო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და სამუშაო აღწერილობები

თავი I

ზოგადი საკონკურსო მოთხოვნები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – ფონდი) სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებში ვაკანტურ პოზიციებზე (შემდგომში – ვაკანტური პოზიციები) შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მისაღებად კანდიდატის შერჩევის მიზნით გამარტივებული საჯარო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად; განსაზღვრავს ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა ჯგუფს, ადგენს არსებულ ვაკანსიაზე შესაბამის საკონკურსო მოთხოვნებს.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე კანდიდატები

ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან (კონკრეტული ვაკანტური პოზიციისთვის, განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, მინიმალური ასაკობრივი ზღვარი შესაძლოა იყოს 18 წელზე მეტი), რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი, პროფესიული ან საბაზისო განათლება, ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური პოზიციის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 3. კონკურსისთვის წარმოსადგენი საბუთები

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის, www.hr.gov.ge, მეშვეობით განაცხადის გაკეთებისას, საჭიროების შემთხვევაში (მითითებულია კონკრეტული ვაკანტური პოზიციის გამოცხადებისას), ასევე უნდა წარმოადგინოს:

- ა) განათლების ან/და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბ) სერთიფიკატ(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, კანდიდატმა, დადგენილ ვადაში, დამატებით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) რეზიუმე (CV);
- დ) 2 ცალი ფოტოსურათი;
- ე) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ვ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ფსიქიატრის დასკვნა (ფსიქო);
- ზ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
- თ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

3. ვაკანტური პოზიციის არსებობის შესახებ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) განაცხადის წარდგენისთვის კანდიდატებს

ემღევათ 10 კალენდარული დღე აღნიშნულ ვებგვერდზე ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადების დღიდან.

4. წარმატებული კანდიდატის მიერ დადგენილ ვადაში (ეცნობებათ დამატებით) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, მისი დანიშვნა ვაკანტურ პოზიციაზე არ განხორციელდება და აღნიშნული პოზიცია ჩაითვლება ვაკანტურად.

5. კანდიდატებთან კომუნიკაცია განხორციელდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასევე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სატელეკომუნიკაციო საშუალებები.

მუხლი 4. საკონკურსო მოთხოვნებთან კანდიდატის შეუსაბამობა

კანდიდატი ჩაითვლება შეუსაბამოდ საკონკურსო მოთხოვნებთან მიმართებაში, თუ მის მიერ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია არ შეესაბამება ვაკანტური პოზიციისთვის განსაზღვრულ ამ დანართით დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს.

თავი II

ფონდის სტრუქტურული ერთეულის – სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) ვაკანტური პოზიცია, ვაკანსიაზე არსებული საკონკურსო მოთხოვნები და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობა

მუხლი 5. იურისტი (1 ერთეული)

1. იურისტის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ბ) იურისტად ან ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
- გ) საერთო სპეციალიზაციით საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ადვოკატის სერტიფიკატი;
- დ) საქმიანობასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცოდნა;
- ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;
- ვ) გუნდური მუშაობის უნარი;
- ზ) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- თ) კომუნიკაბელურობა;
- ი) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- კ) ორგანიზებულობა.
- ლ) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

- ა) ბენეფიციარებს უწევს ინდივიდუალურ სამართლებრივ კონსულტაციებს;
- ბ) საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარს უწევს წარმომადგენლობას/ადვოკატირებას სასამართლო/სამართალდამცავ ორგანოებში;
- გ) მონაწილეობას იღებს შემთხვევის მართვის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- დ) ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა, კერძოდ, არ გასცეს ბენეფიციარის პირადი ინფორმაცია ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე.

3. შრომის ანაზღაურება 800 ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;

- ბ) საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ (ოჯახური დანაშაულის ნაწილში);
- გ) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“;
- დ) საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“;
- ე) საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ (საოჯახო სამართლის ნაწილში);
- ვ) საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;
- ზ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“;
- თ) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“;
- ი) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“;
- კ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №684 დადგენილებით დამტკიცებული „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი) მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესი“.

თავი III

ფონდის სტრუქტურული ერთეულის – მარნეულის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის ვაკანტური პოზიცია, ვაკანსიაზე არსებული საკონკურსო მოთხოვნები და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობა

მუხლი 6. უფროსი/იურისტი (1 ერთეული)

1. უფროსის/იურისტის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;
 - ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის (მათ შორის იურისტად ან ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის) გამოცდილება;
 - გ) სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;
 - დ) საერთო სპეციალიზაციით საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ადვოკატის სერტიფიკატი;
 - ე) სასურველია რუსული ან აზერბაიჯანული ენების ცოდნა;
 - ვ) საქმიანობასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცოდნა;
 - ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;
 - თ) გუნდური მუშაობის უნარი;
 - ი) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
 - კ) კომუნიკაბელურობა;
 - ლ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
 - მ) ორგანიზებულობა.
 - ნ) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).
2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

- ა) ხელმძღვანელობს კრიზისული ცენტრის გამართულ საქმიანობას, პასუხისმგებელია მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე;
- ბ) ახორციელებს კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელობას, ზედამხედველობს და პასუხისმგებელია ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების ხარისზე.
- გ) ახორციელებს კრიზისული ცენტრის ფუნქციების, მათ შორის, სამეურნეო და საორგანიზაციო საქმიანობის შესრულებაზე ზედამხედველობას;
- დ) მიმწოდებლისაგან იღებს სამეურნეო საგნებსა და ინვენტარს;
- ე) ახორციელებს საქველმოქმედო ორგანიზაციების მოძიებას და მათთან თანამშრომლობას სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით;
- ვ) პასუხისმგებელია მისთვის ჩაბარებული ინვენტარისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-დაცვასა და სწორ გაცემაზე (საბუღალტრო დოკუმენტების მიხედვით);
- ზ) მატერიალურად პასუხისმგებელი პირია და პასუხისმგებლობა ეკისრება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;
- თ) ბენეფიციარებს უწევს ინდივიდუალურ სამართლებრივ კონსულტაციებს;
- ი) საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარს უწევს წარმომადგენლობას/ადვოკატირებას სასამართლო/სამართალდამცავ ორგანოებში;
- კ) მონაწილეობას იღებს შემთხვევის მართვის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- ლ) ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა, კერძოდ, არ გასცეს ბენეფიციარის პირადი ინფორმაცია ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე.

3. შრომის ანაზღაურება 1100 ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ (ოჯახური დანაშაულის ნაწილში);
- გ) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“;
- დ) საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“;
- ე) საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ (საოჯახო სამართლის ნაწილში);
- ვ) საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;
- ზ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“;
- თ) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“;
- ი) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“;
- კ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №684 დადგენილებით დამტკიცებული „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი) მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესი“.

მუხლი 7. ფსიქოლოგი (1 ერთეული)

1. ფსიქოლოგის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- ა) უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლება;
- ბ) ფსიქოლოგად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
- გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;
- დ) გუნდური მუშაობის უნარი;
- ე) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ვ) კომუნიკაბელურობა;
- ზ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- თ) ორგანიზებულობა.
- ი) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

- ა) ახორციელებს ბენეფიციართა ემოციური, ქცევითი, კოგნიტური და სოციალური პრობლემების იდენტიფიკაციას, აკეთებს შეფასებას და ახორციელებს პრობლემების ანალიზს;
- ბ) აგროვებს ინფორმაციას, აწარმოებს ჩანაწერებს, ატარებს ინტერვენციულ სამუშაოებს ბენეფიციარის ემოციური, ქცევითი, კოგნიტური და სოციალური პრობლემების დასაძლევად;
- გ) ეხმარება ბენეფიციარებს სოციალურ ადაპტაციასა და ინტეგრაციაში;
- დ) სისტემატურად უწევს კონსულტაციას და აძლევს რეკომენდაციას კრიზისული ცენტრის თანამშრომლებს ბენეფიციარების საჭიროებებიდან გამომდინარე;
- ე) ახდენს წერის, კითხვის, კომუნიკაციური ინტერპერსონალური და სხვა უნარების შეფასებას ბენეფიციარის ასაკის შესაბამისად;
- ვ) ახორციელებს ბენეფიციარებთან ინდივიდუალურ მუშაობას, მონაწილეობს ბენეფიციართა შემთხვევის მართვის გეგმების შემუშავება-განხორციელების პროცესში;
- ზ) მუშაობს ბენეფიციართა თვითმოვლის პროცესში დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაზე და შესაფერისი უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
- თ) აწყობს ინდივიდუალურ/ჯგუფურ შეხვედრებს (თერაპია) ბენეფიციარებთან, საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლებთან და ბენეფიციარის ოჯახის წევრებთან;
- ი) საჭიროებიდან გამომდინარე აწყობს ჯგუფურ შეხვედრებს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის მიზნით;
- კ) საჭიროებიდან გამომდინარე, დახმარებას უწევს კრიზისული ცენტრის თანამშრომლებს პროფესიული გადაწყვეტილების პროფილაქტიკის მიზნით;
- ლ) მუშაობს თანამშრომლებთან და ბენეფიციარებთან სტერეოტიპული დამოკიდებულებისა და დისკრიმინაციის (არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად ასაკობრივი, რელიგიური, ეთნიკური, სოციალური, გენდერული და სხვა ნიშნით;
- მ) ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა, კერძოდ, არ გასცეს ბენეფიციარის პირადი ინფორმაცია ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე;

3. შრომის ანაზღაურება 800 ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:

- ა) საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;
- ბ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“;
- გ) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“;
- დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“;

მუხლი 8. სოციალური მუშაკი (1 ერთეული)

1. სოციალური მუშაკის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება სასურველია სპეციალობით „სოციალური მუშაობა“ ან მიმართულება – „სოციალური მეცნიერებები“;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის, მათ შორის სოციალურ სფეროში/სოციალურ მუშაკად მუშაობის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;

დ) გუნდური მუშაობის უნარი;

ე) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;

ვ) კომუნიკაბელურობა;

ზ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;

თ) ორგანიზებულობა.

ი) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

ა) ხელს უწყობს ბენეფიციარებისათვის აუცილებელი სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის მოძიებასა და შეგროვებას;

ბ) უზრუნველყოფს კრიზისული ცენტრის მომსახურების მისაღებად განმცხადებლის მიერ ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის საიდენტიფიკაციო კითხვარის შევსებას, რის საფუძველზეც ახდენს ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიცირებას;

გ) მონაწილეობას იღებს მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობაში და მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს;

დ) მონაწილეობას იღებს კრიზისული ცენტრის ბენეფიციარის მიღებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციის შევსებაში და ბენეფიციარის პირადი საქმის წარმოებაში;

ე) წარმართავს ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევის მართვის გეგმის შემუშავების პროცესს და ხელმძღვანელობს აღნიშნული გეგმის განხორციელების პროცესს;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ბენეფიციარის ჩართვას სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებში;

ზ) კოორდინაციას უწევს ბენეფიციარისთვის, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას ან/და მიღებას;

თ) საჭიროებიდან გამომდინარე, აწყობს ჯგუფურ შეხვედრებს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის მიზნით;

ი) ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს ბენეფიციარის რეინტეგრაციის მიზნით, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ბენეფიციარის ინტერესებს;

კ) ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს ბენეფიციარის დასაქმებაში ხელშეწყობის მიზნით;

ლ) ბენეფიციართა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს;

მ) საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სპეციალისტებთან დაკავშირებას და მომსახურებების კოორდინაციას;

3. შრომის ანაზღაურება 800 ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:

- ა) საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;
- ბ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“;
- გ) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“;
- დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“;
- ე) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №684 დადგენილებით დამტკიცებული „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი) მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესი“.

თავი IV

ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის ვაკანტური პოზიცია, ვაკანსიაზე არსებული საკონკურსო მოთხოვნები და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობა

მუხლი 9. ექიმი-ფსიქიატრი (1 ერთეული)

1. ექიმი-ფსიქიატრის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება ფსიქიატრის სპეციალობით.
- ბ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი ფსიქიატრიაში.
- გ) ფსიქიატრის სპეციალობით მუშაობის არანაკლები 3 წლის გამოცდილება;
- დ) გუნდური მუშაობის უნარი;
- ე) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ვ) კომუნიკაბელურობა;
- ზ) ორგანიზებულობა;
- თ) ანალიტიკური აზროვნების უნარი.
- ი) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა.

- ა) ახორციელებს მეთვალყურეობას ბენეფიციარების ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ფსიქიკური ფუნქციების განვითარებაზე;
- ბ) საჭიროების შემთხვევაში აკეთებს შესაბამის მედიკამენტოზურ დანიშნულებას;
- გ) მონაწილეობას იღებს ბენეფიციარის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- დ) პასუხისმგებელია ფილიალში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების შექმნა, შენახვა, აღრიცხვასა და გამოყენებაზე ფილიალის უფროსთან ერთად. ამზადებს განაცხადს ფილიალში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების საჭიროებაზე

3. შრომის ანაზღაურება 650 ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:

- ა) მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“;
- ბ) საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“;
- გ) საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
- დ) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

თავი V

ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის ვაკანტური პოზიცია, ვაკანსიაზე არსებული საკონკურსო მოთხოვნები და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობა

მუხლი 10. ექიმი-თერაპევტი (1 ერთეული)

1. ექიმი-თერაპევტის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება.
- ბ) შესაბამისი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი.
- გ) შესაბამისი სპეციალობით მუშაობის არანაკლები 3 წლის გამოცდილება;
- დ) გუნდური მუშაობის უნარი;
- ე) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ვ) კომუნიკაბელურობა;
- ზ) ორგანიზებულობა;
- თ) ანალიტიკური აზროვნების უნარი.
- ი) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა.

- ა) ახორციელებს ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებას;
- ბ) მეთვალყურეობას უწევს ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობას;
- გ) ფილიალში ატარებს სისტემატურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს;
- დ) იღებს გადაწყვეტილებებს ბენეფიციარის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას აწვდის ფილიალის უფროსს;
- ე) კონტროლს უწევს ბენეფიციართა ფიზიკურ განვითარებას, მათ კვებას, შრომით დატვირთვას;
- ვ) კონტროლს უწევს ფილიალში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ადგილების, სასადილოს სანიტარულ მდგომარეობას;
- ზ) მზარეულთან ერთად მონაწილეობს ყოველდღიური მენიუს შედგენაში და ადასტურებს ხელმოწერით;
- თ) ამზადებს განაცხადს ფილიალში მედიკამენტების (გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტებისა) საჭიროებაზე;
- ი) აწარმოებს ბენეფიციართა სამედიცინო დოკუმენტაციას.

3. შრომის ანაზღაურება 650 ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:

- ა) მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,

- დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება;
- ბ) საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“;
- გ) საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
- დ) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

მუხლი 11. მომვლელი (1 ერთეული)

1. მომვლელის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- ა) სასურველია მომვლელად ან ექთნად მუშაობის გამოცდილება;
- ბ) გუნდური მუშაობის უნარი;
- გ) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- დ) კომუნიკაბელურობა;
- ე) ორგანიზებულობა;
- ვ) კონფლიქტების მართვის უნარი;
- ზ) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

- ა) ფილიალში მორიგე ექთნისა და უფროსი ექთნის ხელმძღვანელობით ასრულებს ყველა სამუშაოს, რაც დაკავშირებულია ბენეფიციარების მოვლა-პატრონობასთან;
- ბ) პასუხისმგებელია დერეფნებში, სანიტარულ კვანძებსა და საცხოვრებელ ოთახებში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვაზე, თეთრეულის დასუფთავებაზე, ბენეფიციარების გარეგნულ იერსახეზე;
- გ) ატარებს ახლადმოსულ ბენეფიციართა სანიტარულ დამუშავებას;
- დ) ბენეფიციარებს ეხმარება საკვების მიღებაში, დაბანაში, გადაადგილებაში და ა.შ.;
- ე) ყოველდღიურად ანიავებს სათავსოებს, სველი ჩვრით წმენდს იატაკს, რეცხავს სველ წერტილებს, ასუფთავებს ბენეფიციარების საჭირო პირად ნივთებს, ცვლის თეთრეულს, პასუხისმგებელია შენობაში არსებული ინვენტარის მოვლაზე;
- ვ) მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- ზ) ვალდებულია ექთანთან ერთად მთელი ცვლის მანძილზე თვალყური ადევნოს ბენეფიციართა ფილიალის ტერიტორიაზე გადაადგილებას. ფილიალის ტერიტორიის უნებართვოდ დატოვების შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა უზრუნველყოს მათი ფილიალში დაბრუნება;
- თ) მორიგეობის დროს ვალდებულია უზრუნველყოს არსებული ქონების დაცვა;
- ი) მორიგეობის მიღების ან გადაბარების დროს ამოწმებს არსებულ ქონებას და დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში დაუყონებლივ ატყობინებს ცვლის ექთანს;
- კ) სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების დროს მომვლელი ვალდებულია დაეხმაროს ექთანს, ხოლო ბენეფიციარის აგზნების შემთხვევაში მომვლელი უნდა დაეხმარონ ერთმანეთს;
- ლ) აგრესიული ქცევის ბენეფიციარებს მომვლელი უნდა მოექცეს მშვიდად, მოთმინებით, პირადი წყენის გარეშე, იქედან გამომდინარე, რომ ეს მათი დაავადებით არის გამოწვეული;
- მ) ბენეფიციარის ჩივილის ან რაიმე თხოვნის შემთხვევაში მომვლელი არ უნდა შეეწინააღმდეგოს მას და უნდა გაუწიოს დახმარება, ხოლო თუ მისი მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია უნდა აცნობოს ექთანს;

ნ) მომვლელმა უნდა იცოდეს ბენეფიციართა ქცევის თავისებურებანი, განსაკუთრებით კი იმ ბენეფიციარების შესახებ, რომლებსაც აქვთ თვითდაზიანების, თავდასხმის, თეთრეულის და ტანსაცმლის გაფუჭების, საჭმელზე უარის თქმის, გაქცევის მცდელობები და გამოვლინების შემთხვევაში უნდა აღკვეთოს და აცნობოს ექთანს;

ო) მომვლელს უფლება არ აქვს თვითნებურად დაავალოს ბენეფიციარს რაიმე სამუშაოს შესრულება ან გადასცეს მას რაიმე ექიმის, უფროსი ექთნის ან ექთნის თანხმობის გარეშე;

პ) ფონდის დირექტორის, ფილიალის უფროსის, ექიმისა და უფროსი ექთნის დავალებით ასრულებს ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

3. თანამდებობრივი სარგო 450 ლარი. სამუშაო განაკვეთი 24 საათი (ყოველ მეოთხე დღეს).

თავი VI

ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის ვაკანტური პოზიცია, ვაკანსიაზე არსებული საკონკურსო მოთხოვნები და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობა

მუხლი 12. ექიმ-პედიატრი (1 ერთეული)

1. ექიმ-პედიატრის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება.

ბ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი პედიატრიაში.

გ) შესაბამისი სპეციალობით მუშაობის არანაკლები 3 წლის გამოცდილება;

დ) გუნდური მუშაობის უნარი;

ე) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;

ვ) კომუნიკაბელურობა;

ზ) ორგანიზებულობა;

თ) ანალიტიკური აზროვნების უნარი.

ი) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა.

ა) ახორციელებს ბენეფიციართა, მათ შორის შშმ ბავშვთა, სამედიცინო მომსახურებას;

ბ) მეთვალყურეობას უწევს ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობას;

გ) ფილიალში ატარებს სისტემატურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს;

დ) იღებს გადაწყვეტილებებს ბენეფიციარის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას აწვდის ფილიალის უფროსს;

ე) კონტროლს უწევს ბენეფიციართა ფსიქიკურ და ფიზიკურ განვითარებას, მათ კვებას, შრომით დატვირთვას;

ვ) კონტროლს უწევს ფილიალში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ადგილების, სასადილოს სანიტარულ მდგომარეობას;

ზ) მზარეულთან და უფროს ექთანთან ერთად მონაწილეობს ყოველდღიური მენიუს შედგენაში და ადასტურებს ხელმოწერით;

თ) აწარმოებს ბენეფიციართა სამედიცინო დოკუმენტაციას;

ი) ფონდის დირექტორის, ფილიალის უფროსისა და ფილიალის უფროსის მოადგილის დავალებით ასრულებს ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

3. შრომის ანაზღაურება 650 ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:

- ა) მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“;
- ბ) საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“;
- გ) საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
- დ) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

მუხლი 13. უფროსი ექთანი (1 ერთეული)

1. უფროსი ექთნის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- ა) შესაბამისი პროფესიული განათლება;
- ბ) ექთნად მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;
- გ) ორგანიზებულობა;
- დ) გუნდური მუშაობის უნარი;
- ე) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ვ) კომუნიკაბელურობა;
- ზ) კომპიუტერის – საოფისე პროგრამების ცოდნა.

თ) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

- ა) არის ექიმ(ებ)ის დამხმარე სამედიცინო მომსახურებისა და სანიტარულ-პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების საკითხებში;
- ბ) რეგულარული შემოვლის გზით აკონტროლებს ფილიალში არსებულ სანიტარულ მდგომარეობასა და ბენეფიციართა სისუფთავეს;
- გ) თვალყურს ადევნებს ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების სწორად გამოყენებასა და პროცედურების სათანადოდ შესრულებას;
- დ) პასუხისმგებელია სამედიცინო მოხმარების საგნების მოვლა-პატრონობაზე;
- ე) ექიმ-პედიატრთან და მზარეულთან ერთად მონაწილეობს ყოველდღიური მენიუს შედგენაში.
- ვ) კონტროლს უწევს ექთნების მუშაობას;
- ზ) თვალყურს ადევნებს ბენეფიციარების (მათ შორის, ზონდით კვებაზე მყოფი ბენეფიციარის) კვების მიმდინარეობას;
- თ) ახორციელებს დილის შემოვლას;
- ი) დილის შემოვლის დროს ინიშნავს ბენეფიციართა მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებულ ცვლილებებს;
- კ) ახორციელებს მედიკამენტების (გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტებისა) გაცემას, შენახვას და მედიკამენტების ბრუნვის აღრიცხვას, კონტროლს უწევს მათ მიზნობრივ ხარჯვას და ექიმ(ებ)თან ერთად ამზადებს განაცხადს ფილიალში მედიკამენტების საჭიროებაზე;
- ლ) ვალდებულია ფილიალის უფროსთან ერთად უზრუნველყოს მედიკამენტების უსაფრთხო განთავსება აღსაზრდელებისაგან (მიუწდომელი საცავის შექმნა);

მ) ფონდის დირექტორისა და ფილიალის უფროსის დავალებით ასრულებს ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.
3. შრომის ანაზღაურება 550 ლარი.

თავი VII

ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატის ვაკანტური პოზიცია, ვაკანსიაზე არსებული საკონკურსო მოთხოვნები და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობა

მუხლი 14. ექთანი (1 ერთეული)

1. ექთნის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- ა) შესაბამისი პროფესიული განათლება;
- ბ) ექთნად მუშაობის გამოცდილება;
- გ) ორგანიზებულობა;
- დ) გუნდური მუშაობის უნარი;
- ე) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ვ) კომუნიკაბელურობა;
- ზ) კომპიუტერის – საოფისე პროგრამების ცოდნა;
- თ) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

- ა) თავის სამუშაო დღეს იწყებს უფროსი ექთნისაგან ან წინა ცვლისაგან სამუშაოს გადაბარებით, რასაც აფიქსირებს ხელის მოწერით და რომლის დროსაც ვალდებულია არ დაუშვას მოუწესრიგებელი ცვლის გადაბარება;
- ბ) თავის საქმიანობას წარმართავს ექიმისა და უფროსი ექთნის ხელმძღვანელობით;
- გ) პასუხისმგებელია ბენეფიციარებისთვის ექიმის მიერ დანიშნული წამლების მიწოდებასა და პროცედურების ჩატარებაზე;
- დ) მონაწილეობს ფილიალში ახლად მიღებულთა სანიტარულ დამუშავებაში, მწოლიართა თეთრეულის გამოცვლასა და ნაწოლების გაჩენის საწინააღმდეგო მასაჟების ჩატარებაში, ბენეფიციარების პირადი ჰიგიენის მოწესრიგებაში;
- ე) სათანადო ყურადღებას უთმობს ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ იძახებს ექიმს;
- ვ) აკონტროლებს მწოლიართა კვებას, საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფებს ეხმარება საკვების მიღებაში;
- ზ) რეგულარული შემოვლის გზით აკონტროლებს მორიგე მომვლელების მიერ გაწეული მუშაობის ხარისხს;
- თ) პასუხისმგებელია ექიმის დანიშნულების ზედმიწევნით სწორად შესრულებაზე;
- ი) ბენეფიციარებს მოუწოდებს სანიტარული წესების დაცვისაკენ;
- კ) ფონდის დირექტორის, ფილიალის უფროსის, ფილიალის უფროსის მოადგილის, ექიმისა და უფროსი ექთნის დავალებით ასრულებს ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

3. შრომის ანაზღაურება 450 ლარი.